ჩვენი საბჭოთა სამშობლოსათვის!

# მებრძოლი

მუშურ-გლეხური წითელი არმიის

თბილისის სამხედრო ოლქის წითელარმიული გაზეთი
КРАСНОАРМЕЙСКАЯ ГАЗЕТА ТБИЛИССКОГО ВОЕННОГО ОКРУГА
„БОЕЦ РККА" НА ГРУЗИНСКОМ ЯЗЫКЕ

№ 129 (389) | ოთხშაბათი, 31 ოქტომბერი | 1945 წ.

გაუმარჯოს დიდ საბჭოთა კავშირს—ჩვენი სამშობლოს ხალხთა ბედნიერებისა და დიდების საიმედო ბურჯს!

გაუმარჯოს სსრ კავშირის კონსტიტუციას—სოციალისტური საზოგადოების კონსტიტუციას! გაუმარჯოს საბჭოთა დემოკრატიას!

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მოწოდებებიდან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVIII წლისთავისათვის

# დღეგრძელობდეს და ჰყვაოდეს ჩვენი დიდი სამშობლო!

„პრავდის" 29/X მოწინავე

გუშინ მთელ ჩვენს ქვეყანაში გაისმა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მგზნებარე მოწოდებანი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVIII წლისთავისათვის.

ზედიზედ ოთხი წელია, რაც საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის საოქტომბრო მოწოდებები გამსჭვალული იყო ერთი აზრით, ყოვლისდამმორჩილებელი ერთი იდეით: ხალხის მთელი ძალები — მტრის გასანადგურებლად, ჰიტლერულ გერმანიაზე გამარჯვების მოსაპოვებლად! ახლა ჩვენ ოქტომბრის სასიხარულო, საყოველთაო სახალხო დღესასწაულს ვეგებებით ომის ძლევამოსილად დამთავრების ვითარებაში, ისეთ პირობებში, როცა მამაცი წითელი არმიის დიადმა გამარჯვებამ იხსნა ჩვენი სამშობლო დასავლეთში გერმანელთა შემოსევისა და აღმოსავლეთში იაპონელთა შემოსევის საფრთხისაგან, როცა საბჭოთა ხალხის წინაშე გადაიშალა მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის ფართო პერსპექტივები. სწორედ ამ ახალი ვითარებით განისაზღვრება პარტიის ცენტრალური კომიტეტის აწინდელ საოქტომბრო მოწოდებათა შინაარსი.

ბოლშევიკური პარტიის ძალა მუდამ ის იყო, რომ იგი ათასნაირად არის დაკავშირებული ხალხთან, ღრმად გრძნობს და იცის ამ ხალხის ფიქრი და მისწრაფება, უნარი შესწევს სწორად, მკაფიოდ და მაღალიდეურად გამოხატოს იგინი. ამჟამად, როცა ჩვენი სამშობლოსათვის დიდი სიამაყით, ჩვენი მამაცი გამარჯვებული მეომრებისადმი მხურვალე სიყვარულითა და მადლობით არის აღსავსე ქალაქისა და სოფლის ყველა მშრომელის გული, სიხარულით და გულში ჩამწვდომად გაისმის ჩვენი ქვეყნის კიდით კიდემდე სსრ კავშირის ხალხთა ყველა ენაზე ცენტრალური კომიტეტის მოწოდებათა მგზნებარე სიტყვები:

დიდება დიდ საბჭოთა ხალხს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება გერმანელ ფაშისტებსა და იაპონელ იმპერიალისტებზე. დიდება გმირ წითელ არმიას, რომელმაც დაიცვა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მონაპოვარნი და მოიპოვა გამარჯვება მტერზე!

მთელი [illegible] ყველა ხალხისათვის დიდი ხნის ნანატრი მშვიდობა მოპოვებულია ჩვენი ხალხის დიდი მსხვერპლისა და ძალების ტიტანური დაძაბვის ფასად, იმ ხალხისა, რომლის სიმამაცემ და გაბედულმა ბრძოლამ მთელი თავისუფლებისმოყვარე კაცობრიობის აღტაცება და პატივისცემა გამოიწვია. ამიტომ ბუნებრივია, რომ ამ მშვიდობის შენარჩუნება და განმტკიცება ყველა საბჭოთა ადამიანის მთავარ საზრუნავს წარმოადგენს. სსრ კავშირის ხალხები თავიანთი დიდი დღესასწაულის წინ სალამს უძღვნიან გერმანელ და იაპონელ დამპყრობლებზე გამარჯვების მოპოვებაში ყველა მოკავშირე ხალხს, აგრეთვე იმ ხალხებს, რომლებმაც კავშირი გასწყვიტეს ჰიტლერელებთან და ფაშიზმის წინააღმდეგ მიაბრუნეს თავიანთი იარაღი. გაუმარჯოს მტკიცე მშვიდობას ხალხთა შორის! — აცხადებენ საბჭოთა ადამიანები. ისინი ფიცსა სდებენ ფხიზლად დაიცვან იგი და არ დაუშვან, რომ აგრესიულმა ქვეყნებმა კვლავ შექმნან საფრთხე კაცობრიობის მშვიდობიან ცხოვრებას. ჩვენი ხალხის ეს კეთილშობილური და გულმხურვალე ზრუნვა იქიდან გამომდინარეობს, რომ მას შეგნებული აქვს თავისი მოვალეობა კაცობრიობისა და ისტორიის წინაშე: ომის ძლევამოსილად დამთავრების შემდეგ განუზომლად გაიზარდა ჩვენი სამშობლოს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების მძლავრი და თავისუფალი კავშირის როლი, როგორც საყოველთაო მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების საიმედო და მტკიცე ბურჯისა.

ჩვენი ხალხი სულითა და გულით მიესალმება წითელი არმიის დემობილიზებულ მეომრებს, რომლებიც მშვიდობიან შრომას უბრუნდებიან, და პარტიის ცენტრალური კომიტეტი კვლავ მოაგონებს ყველა მშრომელს საბჭოთა პატრიოტების წმიდა მოვალეობას: სამშობლოს დამცველთა — წითელი არმიის მეომართა ოჯახებისათვის ზრუნვას. ისინი გარემოსილი იყვნენ საყოველთაო ყურადღებით ომის წლებში და ამჟამად, როცა ომი დამთავრდა, ეს ყურადღება არა თუ შესუსტდება, არამედ, პირიქით, იმატებს და განმტკიცდება.

გერმანელმა ფაშისტმა ოკუპანტებმა უდიდესი ზარალი მიაყენეს ჩვენს სამშობლოს, იმ ტერიტორიაზე, სადაც საბჭოთა კავშირის თითქმის ნახევარი მოსახლეობა ცხოვრობდა, ჰიტლერელებმა გადაბუგეს ქალაქები და სოფლები, ფეხქვეშ გასთელეს ყანები, დაანგრიეს ფაბრიკა-ქარხნები, ელექტროსადგურები, რკინიგზები, მოსპეს და დაიტაცეს ის, რაც მრავალ თაობათა შრომითა და შემოქმედებით შეიქმნა. ჯერ კიდევ ომის წლებში ომის უდიდესი და გადამწყვეტი გაცხარებული ბრძოლების დროს საბჭოთა ადამიანები შეუდგნენ დანგრეულის აღორძინებას, მტრის შემოსევით მიყენებული ჭრილობების მოშუშებას. ომის ძლევამოსილად დამთავრების შემდეგ აღდგენითს სამუშაოებს ჭეშმარიტად გიგანტური გაქანება მიეცა. კვლავ და კვლავ დადასტურდა საბჭოთა წყობილების, მეურნეობის სოციალისტური სისტემის დიდი და ცხოველმყოფელი ძალა. ამ შემოქმედებით შრომას, რომელსაც ბადალი არ მოეპოვება ისტორიაში, წარმართავს და სულს უდგამს ბოლშევიკური პარტია, რომლისთვისაც ხალხის ინტერესები, საბჭოთა ადამიანის ბედნიერება ყველაფერზე მაღლა დგას. ოქტომბრის წლისთავის წინ პარტია კვლავ მოგვიწოდებს:

— საბჭოთა კავშირის მშრომელნო! სწრაფად აღვადგინოთ დანგრეული ქალაქები და სოფლები, რომლებმაც გერმანიის ოკუპაცია განიცადეს.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდებები მიმართულია ჩვენი მრეწველობის ყველა დარგის მუშებისადმი. მეტი ქვანახშირი, ნავთი, ლითონი! მეტი მანქანა და დაზგა! ეს ლოზუნგები [illegible] სწრაფად წავწიოთ წინ მრეწველობის, ტრანსპორტისა და სოფლის მეურნეობის განვითარება, ავიყვანოთ ისინი უფრო მაღალ ტექნიკურ დონეზე, უფრო ძლიერი და მდიდარი გავხადოთ ჩვენი სამშობლო, მაშასადამე, ყველა საბჭოთა ადამიანის ცხოვრება — უფრო ლამაზი და ბედნიერი.

წითელმა არმიამ უკვდავი სახელი მოუხვეჭა თავის დროშებს. ჩვენ კვლავაც უნდა განვამტკიცოთ ძლიერება საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალებისა, რომლებიც ჩვენი ხალხის მშვიდობიან შემოქმედებითს შრომას იცავენ. ჩვენი სამშობლოს მშრომელთა მშვიდობიანი ცხოვრების ამ უმნიშვნელოვანესი გარანტიისათვის ზრუნვით არის გამსჭვალული ცენტრალური კომიტეტის მოწოდება სამხედრო მრეწველობის მუშაკებისადმი — სრულჰყონ წითელი არმიის საბრძოლო ტექნიკა.

უფრო სწრაფად რომ აღვადგინოთ გერმანელი დამპყრობლების მიერ დანგრეული საწარმოები, ბინები და კულტურული დაწესებულებანი, ამისათვის უფრო ფართოდ უნდა გამოვიყენოთ მშენებლობის ჩქარი მეთოდები, გავადიდოთ ხე-ტყის დამზადება და გამოზიდვა, მეტი უნდა გამოვუშვათ ცემენტი, აგური, მინა და სხვა სამშენებლო მასალა. სწორედ ამისაკენ მოუწოდებს სამშობლო ჩვენს მშენებლებს, სატყეო მრეწველობისა და სამშენებლო მასალის მრეწველობის მუშაკებს. მათს თავდადებულ შრომაზე, მათს პატრიოტულ ინიციატივაზე ბევრად არის დამოკიდებული აღდგენითი სამუშაოების ტემპი, მშრომელთა ნორმალური ცხოვრების უსწრაფესი აღორძინება იმ მიწა-წყალზე, რომელმაც გერმანელ ფაშისტთა ბანდების შემოსევა განიცადა.

ყველაფერი ფრონტისათვის, ყველაფერი გამარჯვებისათვის! — ეს ასულდგმულებდა ჩვენს მრეწველობას დიდი სამამულო ომის წლებში. ახლა, როცა ჩვენი ქვეყანა მშვიდობიანი განვითარების პერიოდში შევიდა, სამშობლო სამოქალაქო პროდუქციის წარმოების რელსებზე სწრაფ გადასვლას მოელის ჩვენი სოციალისტური მრეწველობის მამაც მუშაკთაგან, რომელნიც გარემოსილნი არიან სამშობლოს დაცვაში უმაგალითო გმირობის დიდებით. ეს ეხება ჩვენს მძიმე ინდუსტრიასაც და იმ მრეწველობასაც, რომელიც მოწოდებულია დაამზადოს ფართო მოხმარების საქონელი. ყოველმხრივ გაადიდონ მოსახლეობისათვის ქსოვილის, ტრიკოტაჟის, ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის წარმოება, ენერგიულად იბრძოლონ ნაწარმის ხარისხის გაუმჯობესებისათვის — აი რა მოეთხოვებათ ამჟამად საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის მუშაკებს. ფართო მოხმარების საქონლის გამოშვების გასადიდებლად ადგილობრივი რესურსების გამოყენებაში მეტი ინიციატივა უნდა გამოიჩინონ ადგილობრივი მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის მუშაკებმა.

ადამიანებისათვის ზრუნვა არის ღერძი, ძირითადი, წამყვანი აზრი ყველა ამ მოწოდებისა, რომლებიც მიმართულია მრეწველობის უაღრესად სხვადასხვა დარგის მუშებისა, ინჟინრებისა და ტექნიკოსებისადმი — დაწყებული უდიდესი მეტალურგიული კომბინატით ან გიგანტური მანქანათმშენებელი ქარხნით და დამთავრებული მცირე სარეწაო არტელით.

კოლმეურნე გლეხობამ, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშებმა, აგრონომებმა, სოციალისტური სოფლის მეურნეობის ყველა სპეციალისტმა ბრწყინვალედ შეასრულეს ომიანობის წლებში თავიანთი ვალი სამშობლოს წინაშე. ისინი სრულიად და შეუფერხებლად უზრუნველჰყოფდნენ წითელ არმიას და ქალაქების მოსახლეობას სურსათით, ხოლო მრეწველობას ნედლეულით. საბჭოთა გლეხობამ საქმით დაამტკიცა, რომ საბჭოთა სახელმწიფოს ინტერესები, საკოლმეურნეო წყობილების სიმტკიცე და ურღვევობა მისთვის ყველაფერზე მაღლა დგას. ამჟამად ომის ძლევამოსილად დამთავრების შემდეგ კოლმეურნის შრომას ჩვენი სამშობლოს ძლიერების განმტკიცებისათვის, საბჭოთა ხალხის შემდგომი აყვავებისათვის ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორიც ომიანობის წლებში მას ჰქონდა მტრის განადგურებისათვის, როცა თვითეული ფუთი პური ყუმბარას უდრიდა. მოგვცენ მეტი სურსათი მოსახლეობისათვის და ნედლეული მრეწველობისათვის, მთლიანად შეასრულონ პურის დამზადების სახელმწიფო გეგმა, მისცენ ჩვენს ქვეყანას მეცხოველეობის მეტი პროდუქტი — მოუწოდებს პარტიის ცენტრალური კომიტეტი კოლმეურნე გლეხობას და სოციალისტური მიწათმოქმედების ყველა მუშაკს.

ჩვენს გმირ მუშათა კლასთან ერთად, სახელოვან კოლმეურნე გლეხობასთან ერთად დიდი გმირობა სამშობლოს სასახელოდ ჩაიდინა სამამულო ომში საბჭოთა, ხალხურმა ინტელიგენციამ. იგი თავდადებითა და თავგანწირვით ემსახურებოდა ხალხს, ჰქმნიდა საუცხოო იარაღს წითელი არმიისათვის, სულიერად აიარაღებდა ჩვენს ხალხს თავისი შემოქმედებით, თავისი ცოდნით. ცენტრალური კომიტეტის საოქტომბრო მოწოდებებში დასახულია ჩვენი საბჭოთა ინტელიგენციის ამოცანები მშვიდობიანი მშენებლობის პირობებში. საბჭოთა მეცნიერების ძალა ის არის, რომ იგი არ ემიჯნება ხალხს, რწმენით და სამართლით ემსახურება მის ინტერესებს. მაშ მოწინავე საბჭოთა მეცნიერების მუშაკებმა კვლავაც გაამდიდრონ იგი ახალ-ახალი აღმოჩენებით, გამოგონებებით, გამოკვლევით, და უფრო სრულად და ეფექტიანად ემსახურონ მეცნიერების მთელი მიღწევებით სსრ კავშირის ხალხთა მეურნეობისა და კულტურის შემდგომ განვითარებას. დიდი საბჭოთა ხალხის შესაფერ ახალ-ახალ ნაწარმოებს მოელის სამშობლო ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკთაგან. პარტიის ცენტრალური კომიტეტი მიმართავს საბჭოთა მასწავლებლობას, სახალხო განათლების ყველა მუშაკს და უყენებს: აამაღლეთ სკოლაში ბავშვთა სწავლების ხარისხი, აღზარდეთ განათლებული და კულტურული საბჭოთა ადამიანები, სოციალისტური სამშობლოს პატრიოტები! ჩვენს ქვეყანაში კულტურა რჩეულთა პრივილეგია როდია, იგი მთელი ხალხის კუთვნილებაა. სტალინური კონსტიტუცია უზრუნველჰყოფს ყველა მშრომელისათვის განათლების

(დასასრული მე-2 გვ.)

# დღეგრძელობდეს და ჰყვაოდეს ჩვენი დიდი სამშობლო!

(დასასრული)

უფლებას და პარტიის ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს მათ გამოიყენონ ეს უფლება, რომელიც საბჭოთა რევოლუციის ერთ-ერთ უდიდეს მონაპოვარს წარმოადგენს. — დაუღალავად დაეუფლეთ თანამედროვე ტექნიკას, მეცნიერებასა და კულტურას, თავდადებით იშრომეთ ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ, — ასეთი გულშიჩამწვდომი, გულითადი სიტყვებით მიმართავს პარტია ჩვენს სახელოვან საბჭოთა ახალგაზრდობას, სოციალიზმის ქვეყნის ჭაბუკებსა და ქალიშვილებს. — დაეუფლეთ ცოდნას, ემზადეთ იმისათვის, რომ გახდეთ მტკიცე მებრძოლნი ლენინ-სტალინის საქმისათვის! — ეუბნება პარტია საბჭოთა სკოლის მოსწავლეებს, კომკავშირელებს, პიონერებს. ჩვენი სამშობლო დგას მეოთხე ხუთწლედის ზღურბლზე. ამ ხუთწლედმა უნდა მიგვიყვანოს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის არა მარტო სრულ აღდგენამდე და შემდგომ განვითარებამდე, არამედ ჩვენი ქვეყნის, ჩვენი ხალხის კულტურის ახალ უდიდეს და ყოველმხრივ ამაღლებამდე.

— საბჭოთა კავშირის მშრომელნო! — მიმართავს ხალხს ცენტრალური კომიტეტი, — აამაღლეთ მოსახლეობის საცხოვრებელი დონე — გააუმჯობესეთ ჩვენი ქალაქებისა და სოფლების კეთილმოწყობა!

მოსახლეობის საჭიროებისათვის ზრუნვით არის გამსჭვალული მოწოდებები სამრეწველო მუშაკებისადმი, საბჭოთა დაწესებულებების მოსამსახურეებისადმი, პროფკავშირულ ორგანიზაციათა მუშაკებისადმი. მუშა-მოსამსახურეთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო და კულტურული საჭიროებათა დაკმაყოფილებისათვის ბრძოლა საპატიო და უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ჩვენს ქვეყანაში, სადაც ადამიანები, კადრები აღიარებული არიან ყველაზე ძვირფას კაპიტალად, და სადაც პარტია, მთავრობა, ხალხის დიდი ბელადი ამხანაგი სტალინი გვიჩვენებენ ხალხის საჭიროებისათვის დაუცხრომელი მამობრივი ზრუნვის შთამაგონებელ მაგალითს.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდებანი კვლავ და კვლავ უჩვენებენ ხალხს ჩვენი დიადი გამარჯვების წყაროებს, ჩვენი სახელმწიფოს ძალისა და სიმძლავრის წყაროებს. ეს არის დიდი საბჭოთა კავშირი, ჩვენი სამშობლოს ხალხთა მეგობრობისა და დიდების საომლო ბურჯი. ეს არის სსრ კავშირის ხალხთა ძმური კავშირი და ურღვევი მეგობრობა. — ეს არის საკავშირო კომუნისტური პარტია, ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი.

ჩვენი ქვეყანა ეგებება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებს. 1946 წლის 10 თებერვლიდან იგი დეპუტატთა რწმუნებით აღჭურავს ჩვენი ხალხის საუკეთესო შვილებს. იგი არჩევნებს ეგებება სტალინური კონსტიტუციის დროშით, — საბჭოთა დემოკრატიის — ხალხისათვის მსოფლიოში ერთადერთი ნამდვილი დემოკრატიის დროშით. ჩვენი კონსტიტუცია ყველა მოქალაქეს თანაბარ უფლებებს ანიჭებს და თანაბრად აკისრებს მათ პატრიოტულ მოვალეობას. საარჩევნო კამპანიის დღეებში განსაკუთრებული გამომეტყველებითა და ძალით ჟღერს ცენტრალური კომიტეტის მოწოდებანი.

— გაუმარჯოს სსრ კავშირის კონსტიტუციას — სოციალისტური საზოგადოების კონსტიტუციას! გაუმარჯოს საბჭოთა დემოკრატიას!

ეგებება რა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVIII წლისთავს, საბჭოთა ხალხს ფიქრი და გრძნობა მიპყრობილი აქვს თავისი დიდი ბელადის ამხანაგ სტალინისადმი, რომლის პოლიტიკურმა, სახელმწიფოებრივმა და სამხედრო ხელმძღვანელობამ ისტორიაში უმაგალითო გამარჯვებამდე მიიყვანა ჩვენი ქვეყანა. უსაზღვრო, საყოველთაო სახალხო სიყვარულითა და მხურვალე მადლობით არის გარემოსილი ბელადის სახელი, და მთელს ჩვენს მიწა-წყალზე, მთელ მის ქალაქებსა და სოფლებში, ყველგან, სადაც საბჭოთა ადამიანები ცხოვრობენ და შრომობენ, თითოეული ადამიანის გულის სიღრმეში ცოცხლობს გრძნობა, რომელიც საოქტომბრო მოწოდებებში გამოთქმულია სადა და ჩვენი ქვეყნის ყოველი მშრომელისათვის გასაგები სიტყვებით:

— გაუმარჯოს საბჭოთა ხალხის ბელადს — დიდ სტალინს!

ლენინის დროშით, სტალინის წინამძღოლობით ჩვენი ხალხი იმარჯვებდა და იმარჯვებს. ლენინის დროშით, სტალინის წინამძღოლობით იგი მიდის წინ სოციალისტური მშენებლობის ახალ-ახალი წარმატებისაკენ. იგი ცხოვრობს, შრომობს, იბრძვის სამშობლოზე ფიქრით, სამშობლოს სასახელოდ, ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის.

მაშ დღეგრძელობდეს და ჰყვაოდეს ჩვენი დიდი სამშობლო!

# ამხანაგ ანდრია ანდრიას-ძე ანდრეევს

**საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო მხურვალედ მოგესალმებიან თქვენ, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილ მოღვაწეს — თქვენი ორმოცდაათი წლისთავის დღეს.**

**სულითა და გულით გისურვებთ, ძვირფასო ანდრია ანდრიას-ძევ, მრავალ წელს ჯანმრთელობას და ნაყოფიერ მუშაობას საბჭოთა სამშობლოს საკეთილდღეოდ.**

**საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი**

**სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო**

## ბრძანებულება

### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ა. ანდრეევის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

სსრ კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისარს ამხ. ა. ა. ანდრეევს დაბადების 50 წლისთავთან დაკავშირებით და პარტიისა და საბჭოთა ხალხის წინაშე თვალსაჩინო დამსახურებისათვის დაჯილდოებულ იქნას ამხ. ანდრია ანდრიას-ძე ანდრეევი **ლენინის ორდენით.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მ. კალინინი**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ა. გორკინი**

მოსკოვი, კრემლი. 1945 წლის 29 ოქტომბერი.

დიდი ოქტომბრის XXVIII წლისთავის შესახვედრად

## მოსამზადებელი მუშაობა გაიშალა

ჩვენი ქვეგანაყოფის პირადი შემადგენლობა გაცხოველებით ემზადება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVIII წლისთავის შესახვედრად.

ქვეგანაყოფის აგიტატორები სისტემატიურად ატარებენ საუბრებს ოქტომბრის დიადი დღესასწაულის შესახებ. აგიტატორი ფელდშერი მებრძოლებს ესაუბრა სკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მე-7 თავის გარშემო, რომელშიც მოთხრობილია ლენინისა და სტალინის ბრძნული ხელმძღვანელობით ოქტომბრის რევოლუციის მომზადებასა და გამარჯვებაზე ჩვენს ქვეყანაში. ჩატარდა აგრეთვე საუბარი თემაზე: „დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხმა დაიცვა დიადი ოქტომბრის მონაპოვარნი“.

ქვეგანაყოფის ლენინის ოთახში თავმოყრილია ლიტერატურა, რომელიც შეეხება ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით რუსეთის მუშათა კლასისა და გლეხობის ბრძოლას ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისათვის, სამოქალაქო ომისა და დიდი სამამულო ომის წლებში საბჭოთა ხალხის უმაგალითო გმირობას, სტალინურ ხუთწლედებში ჩვენი ქვეყნის ძლიერების ზრდას და სხვ.

ფართოდ გაიშალა კურსანტთა მხატვრული თვითმოქმედების წრის მუშაობა. წრის ხელმძღვანელი კურსანტი სამიკინი, დღესასწაულთან დაკავშირებით თვითმოქმედების წრე ქვეგანაყოფში გამართავს რამდენიმე კონცერტს.

**კურსანტი გ. ფოფხაძე**

## გაიზარდა მოწინავეთა რიგები

კაპიტან ს. მჭედლიძის ქვეგანაყოფი დიად დღესასწაულს საბრძოლო და პოლიტმომზადების მაღალი მაჩვენებლებით ხვდება. მებრძოლებმა წულაიამ, კუკნაველიძემ, გამცემლიშვილმა და სხვ. უკანასკნელ ხანებში დიდ წარმატებებს მიაღწიეს. მათ საბრძოლო სწავლების ყველა დისციპლინაში ფრიადი მაჩვენებლები აქვთ. ასეთივე წარმატებები მოიპოვეს აგრეთვე ფიზკულტურული მომზადების საქმეშიც. მებრძოლებმა სრულყოფილად აითვისეს ყველა ვარჯიში და ფიზკულტურული ნორმების ჩაბარებაში მთელს ნაწილში პირველი ადგილი დაიკავეს.

**სერჟანტი ვ. ჯალაღანია**

## მაღალი მაჩვენებლებისათვის

ქვეგანაყოფში, რომელსაც ლეიტენანტი შ. კაციტაძე მეთაურობს, ამას წინათ ჩატარდა პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების გაერთიანებული კრება. კრებაზე განხილულ იქნა ორი საკითხი. პირველი საკითხი შეეხებოდა საინსპექტორო შემოწმებისათვის მზადებას. მოხსენებით გამოვიდა ქვეგანაყოფის მეთაური ამხ. კაციტაძე. მან მოკლედ ილაპარაკა იმ მუშაობის შესახებ, რაც ასეულმა ჩაატარა საინსპექტორო შემოწმებისათვის.

კრების დღის წესრიგის მეორე საკითხი პირად შემადგენლობაში დისციპლინის განმტკიცებას შეეხო. მოხსენებით გამოვიდა ქვეგანაყოფის პარტორგი უმცროსი სერჟანტი გ. ჯაშიაშვილი. მან ანალიზი გაუკეთა ქვეგანაყოფის კომუნისტებისა და კომკავშირელების მიერ გაწეულ მუშაობას პირად შემადგენლობაში სამხედრო დისციპლინის განმტკიცებისათვის. მომხსენებელმა გააკრიტიკა ზოგიერთი აგიტატორი, რომელიც არა საკმაოდ ეწევა სამხედრო ფიცის პროპაგანდას პირად შემადგენლობაში. სამხედრო ფიცის პროპაგანდა კი ხელს უწყობს ქვეგანაყოფში დისციპლინის განმტკიცებასა და საბრძოლო მაჩვენებლების ამაღლებას.

მოხსენების ირგვლივ კამათში მონაწილეობა მიიღეს კომუნისტებმა უფროსმა სერჟანტმა წითლიანიძემ, თოფურიამ, კომკავშირელებმა წითელაშვილმა, ცერცვაძემ, უმცროსმა სერჟანტებმა ცერაძემ, კაპანაძემ და სხვ.

კრებამ, მომავალი მუშაობის გაუმჯობესებისათვის, დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი.

**ზემდეგი მ. პატარაია**

## სწავლობენ საარჩევნო კანონს

ჩვენი ნაწილის მეომრები დიდი ინტერესით სწავლობენ „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულებას“. პრესაში საარჩევნო კანონის გამოქვეყნებისთანავე, პარტპოლიტმუშაკებისა და პარტიული აქტივის ძალებით ქვეგანაყოფებში მოეწყო მისი ტექსტუალური კითხვა, აგრეთვე წაკითხულის ახსნა-განმარტება.

მებრძოლების მიერ დებულების შინაარსის უკეთ შესწავლის მიზნით, ქვეგანაყოფებში გამოკრულია პლაკატები, მოწყობილია მონტაჟები, სტენდები — მიძღვნილი სსრ კავშირის კონსტიტუციისადმი. საკმაო რაოდენობით არის ამხანაგ სტალინის მოხსენება VIII საგანგებო ყრილობაზე, ბელადის გამოსვლა მოსკოვის სტალინის რაიონში წინასაარჩევნო კრებაზე. გარდა ამისა, შერჩეულია **სხვა ლიტერატურაც, რომლითაც სარგებლობენ არა მარტო ჯგუფხელები და აგიტატორები, არამედ მებრძოლთა უმეტესობაც.**

ჩვენი ნაწილის პირადი შემადგენლობის აბსოლუტური უმეტესობა პირველად მიიღებს მონაწილეობას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში. ეს ახალგაზრდა მეომრები უდიდეს ინტერესს იჩენენ საარჩევნო მასალების შესწავლისადმი. ისინი მეცადინეობებზე იძლევიან მრავალ შეკითხვას, ინტერესდებიან არჩევნების ტექნიკის ყველა წვრილმანით. მაგალითად, ახალგაზრდა მეომრებს აინტერესებთ, თუ რატომ არ შეიძლება დეპუტატად არჩეულ იქნას მოქალაქე, რომელსაც 23 წელი არ შესრულებია; სად მიიღებს არჩევნებში მონაწილეობას იმ მთიანი რაიონის მოსახლეობა, რომელიც 50 კაცზე ნაკლებია და სხვ.

რა თქმა უნდა, ჯგუფხელებმა და აგიტატორებმა ყველაფერი გულდასმით მოემზადონ, გასაგებად განმარტონ საარჩევნო კანონის შინაარსი, რომ მებრძოლები გაერკვნენ ყველა საკითხში. ამ მხრივ ქების ღირსია ჯგუფხელების უფროსი ლეიტენანტ ბიბილურიძის, ლეიტენანტ უჯმაჯურიძის, საბჭოთა კავშირის გმირის უფროსი ლეიტენანტ ტუღუშის და სხვ. მუშაობა. ისინი საინტერესო მოხსენებებს ატარებენ, მოხერხებულად უხსნიან მსმენელებს „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულებას“.

საარჩევნო კანონის შესწავლის საქმეში კარგი წარმატება მოიპოვეს მეომრებმა მებითიძემ, იაკობაშვილმა, ქარჩავამ, კახნიაშვილმა, ბარბაქაძემ და სხვ. ისინი მარტო მეცადინეობაზე როდი იჩენენ აქტიურობას, სხვებსაც ეხმარებიან მასალების უკეთ ათვისებაში.

არჩევნებთან დაკავშირებული მთელი მოსამზადებელი მუშაობა ნაწილში ტარდება პირადი შემადგენლობის პოლიტიკური აქტიურობისა და მეომრული ოსტატობის სრულყოფის საქმეში ახალი წარმატებების მოპოვების ნიშნით.

**მაიორი მ. ბაღაძე**

# წითელი არმიის გამოჩენილი მხედართუფროსი

**(მ. ვ. ფრუნზეს გარდაცვალების 20 წლისთავისათვის)**

1907 წლის 24 მარტს ვლადიმირის გუბერნატორმა შუის ისპრავნიკ ლავროვისაგან მიიღო დეპეშა: „შუიაში დაპატიმრებულია საოლქო აგიტატორი არსენი. ყველა ფაბრიკა აღსდგა და მოითხოვს მის განთავისუფლებას. მოსალოდნელია შეტაკებანი. საჭიროა დაუყოვნებლივ გამოიგზავნოს მაშველი ძალა სულ მცირე 2 ასეულის რაოდენობით“.

შუის მუშებს მხურვალედ უყვარდათ აგიტატორი „არსენი“—ბოლშევიკი მიხეილ ფრუნზე. იგი შეეთვისა მუშათა ოჯახებს, იზიარებდა ყველა მათს გასაჭირსა და სიხარულს...

ჯერ კიდევ 1904 წელს პეტერბურგში ფრუნზე შევიდა ბოლშევიკურ პარტიაში და პროფესიული რევოლუციონერი გახდა. მგზნებარე ორატორი და ჩინებული ორგანიზატორი, იგი მუდამ მუშათა შორის ტრიალებდა. შუიასა და ივანოვო-ვოზნესენსკში ფრუნზე ჰქმნის მებრძოლ რაზმებს, აწყობს გაფიცვებს. 1905 წელს, შეიარაღებული აჯანყების დეკემბრის დღეებში, კრასნაია პრესნის ბარიკადებზე იგი მეთაურობდა ივანოველ და შუიელ ფეიქართა რაზმს.

1906 წლის მარტში რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ივანოვო-ვოზნესენსკის ორგანიზაციის დელეგატებთან ერთად ფრუნზე სტოკჰოლმს ჩავიდა პარტიის IV ყრილობაზე. აქ იგი პირველად შეხვდა ლენინს, სტალინსა და ვოროშილოვს.

მეფის მთავრობამ არა ერთხელ დააპატიმრა მიხეილ ვასილის-ძე ფრუნზე. მას ორჯერ გამოუტანეს სიკვდილით დასჯის განაჩენი, რაც საზოგადოებრივი აზრის ზეგავლენით კატორღით შეუცვალეს. 1914 წელს ფრუნზე სამუდამოდ გადაასახლეს ციმბირში, ირკუტსკის გუბერნიის ვერხოლენსკის მაზრის სოფელ მანზურკაში. იმ სახლში, სადაც ფრუნზე ცხოვრობდა, საღამოობით ხშირად იკრიბებოდნენ პოლიტიკური გადასახლებულნი. აქ განიხილავდნენ უკანასკნელ ამბებს და ფრონტიდან მოსულ ცნობებს. დილამდის იდგნენ ხოლმე რუკასთან და უსმენდნენ ფრუნზეს, რომელიც განარჩევდა სამხედრო ოპერაციებს.

1915 წელს ფრუნზემ მოახერხა გადასახლებიდან გაქცევა ჯერ ჩიტაში, შემდეგ კი მოსკოვს. 1916 წელს პარტია მას გზავნის დასავლეთის ფრონტზე ჯარისკაცთა შორის რევოლუციური მუშაობის გასაწევად. მიხაილოვის გვარით იგი მუშაობს სრულიად რუსეთის ერობათა კავშირში მინსკში, და მე-10 და მე-3 არმიებში ჰქმნის არალეგალურ ბოლშევიკურ ორგანიზაციებს.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ფრუნზე დიდ პარტიულ და საბჭოთა მუშაობას ეწევა ივანოვო-ვოზნესენსკისა და იაროსლავლის გუბერნიებში. საოლქო სამხედრო კომისრის პოსტზე მიხეილ ვასილის-ძე ფრუნზე იბრძვის საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის, აწყობს მუშების სამხედრო სწავლებას, ჰქმნის მუშათა რაზმებს და ფრონტზე აგზავნის მათ ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის დასაცავად. ამ მძიმე წლებში ფრუნზემ თავი გამოიჩინა, როგორც თვალსაჩინო პოლიტიკურმა, სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწემ. პარტიის ნებისყოფამ, ლენინისა და სტალინის ნააზრევმა და მითითებებმა მ. ვ. ფრუნზეს სახით ჰპოვეს ნიჭიერი შემსრულებელი, სამშობლოს უაღრესად პატიოსანი და ერთგული ადამიანი.

1918 წლის დეკემბერში აღმოსავლეთის ფრონტზე მძიმე მდგომარეობა შეიქმნა: კოლჩაკი რესპუბლიკას ემუქრებოდა. მ. ვ. ფრუნზე ინიშნება მე-4 არმიის სარდლად. დაძაბული მუშაობის ერთი თვის შემდეგ, მტერთან სასტიკ ბრძოლის პირობებში ფრუნზემ შესძლო აემაღლებინა არმიის ბრძოლისუნარიანობა, განემტკიცებინა დისციპლინა და გაეუმჯობესებინა პოლიტიკური მუშაობა ჯარის ნაწილებში. 1919 წლის მარტში არმია გადადის გადამწყვეტ შეტევაზე ურალელი თეთრკაზაკების წინააღმდეგ. მალე ფრუნზე იკავებს აღმოსავლეთის ფრონტის სამხრეთი ჯგუფის სარდლის პოსტს. მის მიერ შემუშავებული ბრწყინვალე გეგმით წითელმა არმიამ თეთრებს დაარტყა ბუზულუკის რაიონიდან.



კოლჩაკის ჯარებმა უკვე ვეღარ შესძლეს ამ დამარცხების შემდეგ წელში გამართვა. მათ უკან დაიხიეს. 1919 წლის 9 ივნისს დაკავებულ იქნა უფა. უფის ოპერაციის წარმატებით შესრულებისათვის მ. ვ. ფრუნზე დაჯილდოებულ იქნა წითელი დროშის ორდენით.

ფრუნზე სარდლობს თურქესტანის ფრონტის არმიებს და სპობს ბელოვის თეთრკაზაკთა არმიას. ამ გამარჯვების მნიშვნელობა ის არის, რომ იგი მოპოვებულ იქნა ჩვენი ქვეყნისათვის მრისხანე დღეებში, როდესაც დენიკინი უკვე უახლოვდებოდა კურსკს. ფრუნზეს წარმატებითმა ოპერაციებმა აღადგინეს ცენტრის კავშირი თურქესტანთან, სადაც თითქმის ხელუხლებლად იდო ბამბის ორი წლის მოსავალი.

1920 წლის გაზაფხულზე და ზაფხულში წითელი არმიის ჯარები ფრუნზეს სარდლობით სპობენ სემირეჩენსკის თეთრგვარდიელთა ფრონტს და დახმარებას უწევენ ბუხარის მშრომელებს, რომლებიც ემირის წინააღმდეგ აჯანყდნენ.

მ. ვ. ფრუნზემ თავისი სამხედრო ტალანტი მთელი ბრწყინვალებით გამოაჩინა სამხრეთის ფრონტზე, ვრანგელის წინააღმდეგ მიმართულ ოპერაციებში. წითელი არმიის ერთ-ერთი ბრწყინვალე გამარჯვება—ვრანგელის განადგურება ყირიმში—დაკავშირებულია მის სახელთან. წითელი არმიის ნაწილებმა, რომლებიც ახორციელებდნენ სტალინურ სტრატეგიულ გეგმას, ფრუნზეს ხელმძღვანელობით გაანადგურეს ვრანგელის რჩეული ჯარები ჩრდილოეთ ტავრიდაში. თეთრგვარდიელთა ძალების მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილმა მოახერხა პეროკოპისა და ჩონგარის მიუვალ სიმაგრეებში შეეფარებინა თავი. ჩვენი ჯარები ემზადებოდნენ ამ სიმაგრეებზე საიერიშოდ. მიხეილ ვასილის-ძე მთელ დღეებსა და ღამეებს ატარებდა ჯარის ნაწილებში და პირადად ამოწმებდა მზადების მსვლელობას.

ვრანგელის განადგურების გეგმა გვაოცებს ნააზრევის განსაკუთრებული გაბედულებით და ყველა დეტალის დაწვრილებითი შემუშავებით. ფრუნზე სარგებლობს იმით, რომ ჩრდილო-დასავლეთის ქარმა წყლის ნაწილი სივაშიდან ზღვაში განდევნა და გადამწყვეტი მთავარი დარტყმა სივაშით განახორციელებინა პერეკოპის ზღუდის სიმაგრეთა ზურგში და ერთსადაიმავე დროს მიუტანა იერიში პერეკოპის სიმაგრეებსა და ჩონგარის სიმაგრეებზე.

იერიში ბრწყინვალედ შეასრულეს წითელი არმიის გმირულად მებრძოლმა ნაწილებმა. ვრანგელის განადგურება არის ერთ-ერთი უაღრესად საინტერესო და რთული მანევრული ოპერაცია, რომელიც მ. ვ. ფრუნზემ ჩაატარა. სამოქალაქო ომის უკანასკნელი დიდი ფრონტი ლიკვიდირებულ იქნა.

სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ ფრუნზე მრავალმხრივ მუშაობას ეწევა წითელი არმიის მშენებლობის დარგში. იგი დანიშნულ იქნა უკრაინისა და ყირიმის ჯარების სარდლად, ხოლო 1924 წლიდან—სამხედრო და საზღვაო სახალხო კომისრის მოადგილედ, შემდეგ კი რევოლუციური სამხედრო საბჭოს თავმჯდომარედ და სამხედრო და საზღვაო სახალხო კომისრად. მ. ვ. ფრუნზეს ხელმძღვანელობით ჩატარებულ იქნა 1924 წლის სამხედრო რეფორმა, რომელმაც საფუძვლები ჩაუყარა ჩვენი შეიარაღებული ძალების შემდგომს მშენებლობას. ფრუნზეს ეკუთვნის წითელ არმიაში ერთუფროსობის განხორციელების ძირითადი პრინციპების შემუშავება და მათი პირველი პრაქტიკული გამოყენება. იგი ამბობდა: „...ჩვენი ნაწილების სათავეში ჩვენ უნდა გვყავდეს ისეთი ადამიანები, რომელთაც აქვთ საკმაო დამოუკიდებლობა, სიმტკიცე, ინიციატივა და პასუხისმგებლობა. ჩვენ უნდა გვყავდეს მეთაურთა ისეთი შემადგენლობა, რომელიც არავითარ ვითარებაში არ დაიბნევა, რომელსაც შეეძლება სწრაფად მიიღოს სათანადო გადაწყვეტილება, იკისროს პასუხისმგებლობა მთელი მისი შედეგებისათვის და მტკიცედ განახორციელოს იგი“. სინამდვილემ დაადასტურა მ. ვ. ფრუნზეს ამ აზრის სისწორე.

ჰიტლერულ გერმანიასა და იაპონიასთან ომის დღეებში წითელმა არმიამ, რომელსაც მეთაურობდნენ ნიჭიერი და ნებისყოფიანი მეთაურები,—ერთუფროსები, გაანადგურა ფაშისტი დამპყრობლები და მსოფლიოს ყველა დემოკრატიულ ხალხს მოუტანა თავისუფლება და მშვიდობა.

ლენინურ-სტალინური ტიპის გამოჩენილი მოღვაწე, მ. ვ. ფრუნზე წინასწარ ხედავდა, რომ საბჭოთა სახელმწიფოს არა ერთი განსაცდელის გადატანა მოუხდება ლენინის იდეათა გამარჯვებისათვის ბრძოლაში. მ. ვ. ფრუნზე ამბობდა, რომ თავდაცვისათვის ჩვენი ქვეყნის მომზადება მთელი ხალხის საქმეა, რომ „ჩვენ ისე უნდა ავაგოთ ჩვენი ქვეყნის მეურნეობა, ისეთი მიმართულება უნდა მივცეთ ჩვენს ეკონომიკას, როგორც სამრეწველო, ისე სოფლის მეურნეობის დარგში, რომ ჯერ კიდევ მშვიდობიან დროს გავითვალისწინოთ თავდაცვის საჭიროებანი“. წითელ არმიას ფრუნზე ზრდიდა უდიდესი აქტიობის სულისკვეთებით. წითელი არმიის მებრძოლებსა და მეთაურებს ფრუნზე უნერგავდა მტრისადმი სიძულვილს, უსაზღვრო მამაცობასა და პატიოსნებას სამხედრო მოვალეობის შესრულების დროს.

გამოჩენილმა საბჭოთა სახელმწიფო მოღვაწემ, ფრუნზემ ბევრი რამ გააკეთა თურქესტანში ლენინურ-სტალინური ეროვნული პოლიტიკის პრაქტიკულად განხორციელებისათვის, იგი განამტკიცებდა საბჭოთა ხელისუფლებას უკრაინაში, იგი იყო ამხანაგ სტალინის უახლოესი თანაშემწე პირველი საკავშირო კონსტიტუციის შემუშავების დროს.

მ. ვ. ფრუნზეს სახით მკაფიოდ არის განხორციელებული ყველა თვისება, რაც კი ნამდვილ ბოლშევიკ რევოლუციონერს აქვს. სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე იგი პატიოსნად და მამაცურად ემსახურებოდა თავის ხალხს, მას არა ჰქონია სხვა ინტერესები, გარდა ბოლშევიკური პარტიის ინტერესებისა, მას არა ჰქონია სხვა საზრუნავი, გარდა თავისი ხალხის კეთილდღეობისათვის ზრუნვისა.

მიხეილ ვასილის-ძე ფრუნზე გარდაიცვალა 1925 წლის 31 ოქტომბერს. მისი სიკვდილი მძიმე დანაკლისი იყო საბჭოთა სახელმწიფოსათვის. ფრუნზეს დაკრძალვაზე სიტყვა წარმოსთქვა ამხანაგმა სტალინმა. მან სთქვა:

„...ამხანაგ ფრუნზეს სახით ჩვენ დავკარგეთ ჩვენი დროის ერთ-ერთი უაღრესად წმინდა, უაღრესად პატიოსანი და უაღრესად უშიშარი რევოლუციონერი. ამხანაგ ფრუნზეს სახით პარტიამ დაჰკარგა ერთ-ერთი უაღრესად ერთგული და უაღრესად დისციპლინიანი თავისი ხელმძღვანელი. საბჭოთა ხელისუფლებამ ამხანაგ ფრუნზეს სახით დაჰკარგა ჩვენი ქვეყნისა და ჩვენი სახელმწიფოს ერთ-ერთი უაღრესად გაბედული და უაღრესად გონიერი მშენებელი. არმიამ ამხანაგ ფრუნზეს სახით დაჰკარგა ერთ-ერთი უაღრესად საყვარელი და პატივსაცემი ხელმძღვანელი და შემქმნელი“.

20 წლის განმავლობაში, რაც მ. ვ. ფრუნზეს გარდაცვალების შემდეგ გავიდა, წითელი არმია გახდა მრისხანე ძალა, რომელმაც ომში მოიპოვა ბრწყინვალე გამარჯვება, რომლის მსგავსიც ისტორიას არ ახსოვს. ამ გამარჯვებაში სცოცხლობს ამხანაგ ფრუნზეს მშვენიერი გმირობა, რომელმაც მთელი თავისი შესანიშნავი სიცოცხლე და ტალანტი შესწირა წითელი არმიის ძლიერების განმტკიცებას, მის ტექნიკურად აღჭურვას, მისი მებრძოლებისა და მეთაურების სამხედრო ოსტატობის განვითარებას.

პ. დენისოვიჩი

# გურჯაანელ კოლმეურნეთა დელეგაცია უკრაინაში

გურჯაანელთა დელეგაცია საფუძვლიანად გაეცნო სოფელ ნენასტმეცის ბუდიონის, სოფელ ვასილიევის ჩაპაევის სახელობის კოლმეურნეობების, აგრეთვე სოფელ ვორონოვის კოლმეურნეობა „დნეპროპეტროვსკაია ეოლხას", სოფელ ილარიონოვის კოლმეურნეობა „პამიატ ლენინას" და სინელნიკოვის მტს-ის მუშაობას.

დელეგაციამ დაათვალიერა გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ გმირი წითელი არმიის ისტორიული ბრძოლების ადგილები, მათ შორის მდინარე დნეპრი, სადაც იგი გადალახულ იქნა სინელნიკოვის რაიონის განთავისუფლებისას. ყველგან სჩანს ფაშისტი დამპყრობლების მიერ ჩადენილი სიმხეცის კვალი. ადგილობრივი მოსახლეობა დიდ მუშაობას ეწევა ომით მიყენებული ჭრილობების სწრაფად მოშუშებისათვის. ჩქარი ტემპით მიმდინარეობს სახლების, გზების, ხიდების მშენებლობა, კოლმეურნეობების, მტს-ების, ბაღების, პარკების, მოედნების აღდგენა და მოწყობა.

გურჯაანელები ეწვივნენ სოფელ ლოზოვაიას კოლმეურნეობას, რომელსაც ეჯიბრება გურჯაანის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობა. სტუმრებს სიტყვით მიმართა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ თ. ვოლობაიანოვმა. გურჯაანელი კოლმეურნეები გაეცნენ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას. განსაკუთრებული მიღწევები აქვს კოლმეურნეობას მემინდვრეობაში, მეცხოველეობაში, კოლმეურნეთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაში, მასობრივი კვალიფიკაციის კადრების მომზადების საქმეში. ბრიგადირმა ი. ბრუმასმა განაცხადა, რომ მისმა ბრიგადამ ყველა დავალება წარმატებით შეასრულა. სტუმრების მხრიდან ბრიგადირმა დ. ნიკოლეიშვილმა მოძმე რესპუბლიკის კოლმეურნეებს გააცნო გურჯაანელთა მიღწევები და საჩუქრად გადასცა ფოტოსურათების ალბომი. ამხ. ნიკოლეიშვილმა აღნიშნა, რომ ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა შარშან შრომადღეზე მიიღეს 30 მანეთი, წელს მიიღებენ ბევრად მეტს. უკვე გაცემულია შრომადღეზე 3 კილოგრამი ხორბალი.

25 ოქტომბერს გურჯაანელ კოლმეურნეთა დელეგაცია ჩავიდა დნეპროპეტროვსკში ისტორიული ადგილების დასათვალიერებლად. იმავე დღეს სტუმრები მიიწვიეს უკრაინის კ. პ. (ბ) დნეპროპეტროვსკის საოლქო კომიტეტში. მათ გააცნეს გერმანელი ოკუპანტებისაგან დნეპროპეტროვსკის ოლქის განთავისუფლების მნიშვნელოვანი მომენტები. დელეგაციის მისასალმებელი სიტყვით მიმართა საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. პ. ნაიდენოვმა. საპასუხო სიტყვა წარმოსთქვა საქართველოს კ. პ. (ბ) გურჯაანის რაიკომის მდივანმა ამხ. ლ. კობიაშვილმა.

დელეგაციამ დაათვალიერა მოლოტოვის სახელობის ქარხანა და დნეპრის ხიდის მშენებლობა. ქარხანაში სტუმრებმა ნახეს ახლადაღდგენილი საამქროები, გაუმჯობესებული მანქანები. გურჯაანელები გაეცნენ აგრეთვე პეტროვსკის სახელობის დიდ მეტალურგიულ ქარხანას, სადაც მიმდინარეობს ღუმელების აღდგენა და სხვა სამუშაოები. საღამოს სტუმრები ეწვივნენ უკრაინის სს რესპუბლიკის ტარას შევჩენკოს სახელობის დრამატიული თეატრის კოლექტივს. სტუმრებს თეატრის მუშაობა გააცნო დირექტორმა და სამხატვრო ნაწილის ხელმძღვანელმა დამსახურებულმა არტისტმა ლ. იუქანოვსკიმ. გურჯაანის დრამატიული თეატრის მუშაობის შესახებ ილაპარაკა დელეგაციის წევრმა ამხ. ა. ოგანოვმა. შემდეგ თეატრმა უჩვენა „სოროჩინის ბაზრობა".

27 ოქტომბერს დელეგაცია მიიწვიეს გერმანელი ოკუპანტებისაგან დნეპროპეტროვსკის განთავისუფლების 2 წლისთავთან დაკავშირებით მოწყობილ საზეიმო სხდომაზე.

## გადამწყვეტი მატჩი

დამთავრდა საკავშირო პირველობა კალათბურთში. ქალთა შორის პირველ ჯგუფში გათამაშება წაუგებლად ჩაატარა და სსრ კავშირის ჩემპიონის სახელწოდება მოიპოვა მოსკოვის „დინამოს" გუნდმა. მეორე ადგილზე მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის გუნდი, რომელმაც ერთადერთი დამარცხება განიცადა მოსკოვის „დინამოსთან". ამავე ჯგუფში უკანასკნელ ადგილზე გამოვიდა თბილისის „დინამოს" გუნდი, რომელიც, გათამაშების წესის მიხედვით, პირველ ჯგუფიდან გადაყვანილ იქნება მეორე ჯგუფში.

მეორე ჯგუფში პირველი ადგილი მოიპოვა და პირველ ჯგუფში გადავიდა სვერდლოვსკის „ზენიტის" გუნდი, რომელმაც 6 მატჩი მოიგო და 1 ფრედ დაამთავრა.

ვაჟთა გუნდებში (II ჯგუფი) ყველა მატჩი მოიგო თბილისის „დინამომ". ამ გუნდის სახით პირველ ჯგუფში გადადის ჩვენი ქვეყნის უძლიერესი გუნდების ერთ-ერთი ღირსეული მეტოქე. თბილისის „დინამოს" 2 ქულით ჩამორჩა და მეორე ადგილი დაიკავა მოსკოვის „სპარტაკმა", მესამე — ლენინგრადის „სტროიტელმა".

ვაჟთა შორის (I ჯგუფი) კარგად აიღო სტარტი წითელი არმიის თბილისის სახლის გუნდმა, რომელმაც ზედიზედ დაამარცხა 5 ძლიერი გუნდი, მაგრამ ბოლოს ორი დამარცხება განიცადა ერთი „კალინინის" (ლენინგრადი) და მეორე „ცდკა"-სთან და დაკარგა პირველობის შანსები.

აღნიშნულ ჯგუფში პირველობის კანდიდატები არიან „ცდკა" და „[illegible]", რომელთა შეხვედრა გადამწყვეტი შეიქნება. ეს მატჩი საბოლოოდ გადაწყვეტს სსრ კავშირის 1945 წლის ჩემპიონის სახელწოდების საკითხს.



28 ოქტომბერს სსრ კავშირის პირველობაზე კალათბურთში ერთმანეთს შეხვდნენ „ცდკა" და მოსკოვის „დინამო". თამაში დამთავრდა „ცდკა"-ს გამარჯვებით ანგარიშით 30:28. სურათზე: თამაშის ერთ-ერთი მომენტი.

ფოტო გ. რესაცკისა

## საზღვარგარეთ

### გამცემელ ბარდოშის გასამართლება უნგრეთში

**ბუდაპეშტი**, 29 ოქტომბერი. (ტასი). დღეს უნგრეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრ ლასლო ბარდოშის საქმის მოსმენით დაიწყო მთავარ უნგრელ სამხედრო დამნაშავეთა დიდი პროცესი.

ბუდაპეშტის კონსერვატორიის ხალხით გაჭედილ დარბაზში, სადაც პროცესი მიმდინარეობს, ესწრებიან უმრავლესი პარტიების წარმომადგენლები, მრავალრიცხოვანი უნგრელი და უცხოელი ჟურნალისტები. თავმჯდომარეობს სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე დოქტორი აკოშ მაიორი. ბრალდების მხარს უჭერს სახალხო პროკურორი ფერენც ფენეში და პროკურორი შანდორ სალაი. დამცველად გამოდის დარი ბელა ხერენტი.

ბარდოში რა სასამართლოს სხდომას, ... აღნიშნავს ამ პროცესის დიდ მნიშვნელობას. შემდეგ ქვეყნდება საბრალდებო აქტი, რომლის ძირითადი მუხლებიც იმაში მდგომარეობს, რომ ბარდოშმა, დაარღვია რა იუგოსლავიასთან მეგობრობის ხელშეკრულება, არა მარტო გაიტაცა უნგრეთი იუგოსლავიაში შეჭრილ გერმანელთა ჯარებით, არამედ ამ უკანასკნელში უნგრეთის ნაწილები შეიყვანა უკითხავად, პარლამენტის სანქციის გარეშე, ომი გამოუცხადა საბჭოთა კავშირს, აგრეთვე შეაწყვეტინა დიპლომატიური ურთიერთობა ამერიკასა და ინგლისთან.

საბრალდებო აქტის გამოქვეყნების შემდეგ სასამართლო შეუდგა ბრალდებულის დაკითხვას.

### მდგომარეობა კუნძულ იავაზე

**ლონდონი**, 30 ოქტომბერი. (ტასი). ლონდონის რადიო გადმოგვცემს, რომ სურაბაიაში (კუნძულ იავის აღმოსავლეთი ნაწილი) 29 ოქტომბერს მთელი ღამის განმავლობაში სროლა იყო, ერთი მხრივ, ინდონეზიელ რაზმებსა და, მეორე მხრივ, ინგლისელ და ინდოელ ჯარებს შორის. ბატავიაში გუშინ ნაშუადღევს ოფიციალური ცნობა გამოაქვეყნეს, რომ სროლა წყდება.

# საბჭოთა ქვეყანა დღესასწაულის წინ

უდიდესი პატრიოტული აღმავლობით ემზადება საბჭოთა ხალხი დიდი ოქტომბრის პირველი ომისშემდგომი წლისთავისათვის.

დიადი გამარჯვების კაშკაშა სინათლით გაცისკროვნებული სახარულო, შემოქმედებითი შრომა სჩქეფს ჩვენი ძლევამოსილი სამშობლოს ყველა კუთხეში.

მეოთხე სტალინური ხუთწლედის ბრწყინვალე პერსპექტივებით აღფრთოვანებული ფაბრიკების, ქარხნების, შახტების და კოლმეურნეობათა კოლექტივები, ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XVIII წლისთავის აღსანიშნავად, სულ უფრო და უფრო ფართოდ შლიან სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებას. ცეცხლი გიზგიზებს ახალ ბრძმედებში, გაჰყავთ ახალი მაგისტრალები, გეგმის გადამეტებით ფართო ნაკადად მოედინება პური სახელმწიფოს ელევატორებში, ფართოვდება ჩვენი ქვეყნის სტახანოვური გამოძახება.

წინასაოქტომბრო ვახტზე ადგა სტალინური მაგნიტკის ცნობილი მებრძმედე, ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრი შატილინი. მისმა ცვლამ დღის ბოლოსათვის ქვეყანას გეგმის გადამეტებით მისცა ასი ათასი ტონა თუჯი. ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრი ივანოველი ფეიქარი შუვანდინა პირველი გადავიდა 20 დაზგის მომსახურებაზე. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატ ანა კარტაევას რგოლმა ერთ ჰექტარზე დაახლოებით 120 ცენტნერი კარტოფილი აიღო.

წინასაოქტომბრო შეჯიბრების მონაწილემ ლენინგრადელმა ანდრია კულიკოვმა საამაყოთ უპატაკა ქვეყანას თავისი შრომითი გმირობის შესახებ. მან აგურის დაწყობის 20 ნორმა შეასრულა. მას უპასუხა დონბასის მაღაროს მუშამ ლუკა გოლოკოლოსოვმა, რომელმაც № 23 შახტში 35 ნორმა შეასრულა.

მუშათა კლასი, მთელი საბჭოთა ხალხი აღსავსეა გადაწყვეტილებით სწრაფად მოუშუშოს ჩვენს სამშობლოს ომით მიყენებული ჭრილობები, გახადოს იგი კიდევ უფრო ძლევამოსილი. საბჭოთა ადამიანები თავიანთ წინასაოქტომბრო ვალდებულებებს ბოლშევიკური საქმეებით განამტკიცებენ.

დონბასში, აღდგენის პროცესში მყოფ მეტალურგიულ ქარხანაში, უკვე ამუშავდა № 3 ბრძმედი. ის ამ ქარხნის მეოთხე ბრძმედია, ხოლო სტალინოს ოლქში მეათეა. იგი დონბასის მეტალურგების მიერ დღესასწაულისადმი მიძღვნილი საჩუქარია. ტრესტ ზუევანტრაციტის მაღაროელებმა ქვანახშირის მოპოვების ომამდელ დონეს გადააჭარბეს. ურალში, ზლატოუსტსა და ჩელიაბინსკს შორის გაიხსნა ელმატარებლების გამჭოლი მიმოსვლა. ემზადებიან რა ოქტომბრის ღირსეულად შეხვედრისათვის, მშენებლებმა ყარა-ყუმის უდაბნოში ააშენეს მძლავრი თბოელექტროცენტრალი.

დღესასწაულის მოახლოებასთან დაკავშირებით, მძიმე მანქანათმშენებლობის მთელმა რიგმა ქარხნებმა ახალი სოციალისტური ვალდებულებანი იკისრეს.

სტალინის სახელობის ნოვო-კრამატორსკის ქარხნის კოლექტივმა იკისრა გამოუშვას ახალი სამაღარო ამწევი მანქანა, მოწყობილობათა კომპლექტი ზავოდ მეტალურგიის საწარმოებისათვის, აღადგინოს ათასობით მეტრი საცხოვრებელი და საყოფაცხოვრებო შენობათა ფართობი.

სტალინის სახელობის ლენინგრადის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივმა იკისრა ვადამდე ადრე, 1-ლი ნოემბრისათვის, აღადგინოს და გამოუშვას ჰიდროტურბინა ქეგუმის ჰიდროელსადგურისათვის, ხოლო ოქტომბრის წლისთავისათვის დაამთავროს ლენინის სახელობის დნეპრის ჰიდროელსადგურისათვის ჰიდროტურბინების ძირითადი კვანძების სამუშაო პროექტების შედგენა.

ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან სასიხარულო ცნობები მოდის წინასაოქტომბრო შეჯიბრებაში საბჭოთა ადამიანების ახალი შრომითი გამარჯვებათა შესახებ. ფერფლისა და ნანგრევებისაგან სდგება დნეპროჰესი. ნავთის მრეწველობის მუშებმა გადამეტებით შეასრულეს ნავთის მოპოვების გეგმა. კოლომენსკის ქარხნის კარებიდან გამოვიდა ახალი კონსტრუქციის პირველი ორთქლმავალი „გამარჯვება". მანქანათმშენებლობისა და ფერადი მეტალურგიის ქარხნები, დონბასის, ურალის, კრივოროჟის მაღაროელები, კვებისა და მსუბუქი მრეწველობის ქარხნები იუწყებიან თავიანთი წინასაოქტომბრო ვალდებულებათა წარმატებით შესრულების შესახებ. ყოველდღიურად იზრდება ფართო მოხმარების საქონლის გამოშვება.

განსაკუთრებული ძალა და უმაგალითო გმირობა გამოიჩინა ჩვენმა დიდმა ხალხმა გერმანელ და იაპონელ აგრესორების წინააღმდეგ ომის წლებში. ახლა გამარჯვება მოპოვებულია. ემზადებიან რა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის, საბჭოთა ადამიანები აღნიშნავენ მოახლოებულ დიად დღესასწაულს ახალი წარმატებებით, რომლებიც კიდევ უფრო განამტკიცებენ საბჭოთა სამშობლოს ძლიერებას.

პ/მ. რედაქტორი ა. მურაშოვი.
პ/მ. რედაქტორის მოად. მ/ა.
აკ. სურგულაძე.

გ—115212
რედაქციის მისამართი: თბილისი, ლუნაჩარსკის ქ. № 7.